მოზაიკა

მოსწავლეები ჯგუფებში კითხულობენ ტექსტის ერთ კონკრეტულ ნაწილს, შემდეგ გადაინაცვლებენ ახალ ჯგუფებში და მიღებული ინფორმაციის შეჯერებით ამთლიანებენ ტექსტს.



კლასი: II-VI

მუშაობის ფორმა: ჯგუფები

რესურსი: მოსწავლეთა ჯგუფების რაოდენობის მიხედვით დაყოფილი ტექსტი, დანომრილი/ფერადი ბარათები თითოეული ჯგუფისთვის.

მსვლელობა

- მასწავლებელი წინასწარ დაყოფს ტექსტს იმდენ ნაწილად, რამდენი ჯგუფიც იმუშავებს კლასში.
- მასწავლებელი კლასს ყოფს 3-5-კაციან ჯგუფებად (მნიშვნელოვანია, რომ ჯგუფებისა და ჯგუფის წევრების რაოდენობა ერთმანეთს ემთხვეოდეს. მაგ., თუ არის 4 ჯგუფი, თითო ჯგუფში უნდა იყოს 4 წევრი. თუ ზუსტად არ იყოფა ბავშვების რაოდენობა, შესაძლებელია ერთი ინდივიდის როლი წყვილმა შეასრულოს). მასწავლებელი თითოეულ ჯგუფს მიანიჭებს გარკვეულ ნომერს/ფერს და ურიგებს შესაბამის ბარათებს (მაგ., მეორე ჯგუფის ყველა წევრი მიიღებს ბარათს 2-იანის გამოსახულებით).
- მასწავლებელი თითოეულ ჯგუფს დასამუშავებლად აძლევს ტექსტის თითო ნაწილს. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები ჩაინიშნავენ ტექსტიდან მნიშვნელოვან ინფორმაციას, მასწავლებელი გადააჯგუფებს მოსწავლეებს. ახალი ჯგუფების დაკომპლექტების პრინციპი ასეთია: თითოეულ ახალ ჯგუფში თავს იყრის თავდაპირველი ჯგუფის თითო წევრი (იხ. სქემა).
- მოსწავლეები ჯგუფის წევრებს გაუზიარებენ ინფორმაციას, გაამთლიანებენ ტექსტს და მოემზადებიან წაკითხვის შემდგომი აქტივობებისთვის.

ფაზა 1. მუშაობა საწყის ჯგუფებში

ფაზა 2. მუშაობა ახალ ჯგუფებში

ვარიაცია

- მოსწავლეებს დასამუშავებლად ეძლევათ ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთი.
- მათი დამუშავების შემდეგ მასწავლებელი ქმნის ახალ ჯგუფებს (ე.წ. ,,ექსპერტთა ჯგუფებს''), რომლებშიც ერთი და იმავე ნომრის მქონე მოსწავლეები შეაჯერებენ და გაიაზრებენ ტექსტის ერთ კონკრეტულ ნაწილს (მაგალითად, ყველა, ვისაც აქვს ბარათი ნომრით ,,2'', ერთობლივად იმუშავებს ტექსტის მეორე ნაწილზე).
- მას შემდეგ, რაც მოსწავლეები ექსპერტთა ჯგუფებში განიმტკიცებენ მიცემული ნაწილის ცოდნას, ისინი ბრუნდებიან საწყის ჯგუფებში და საბოლოოდ გაამთლიანებენ ტექსტს.

ფაზა 1. მუშაობა ახალ ჯგუფებში

ფაზა 2. მუშაობა ახალ/ექსპერტთა ჯგუფებში



ფაზა 3. მუშაობა საწყის ჯგუფებში